

ტელეინტერვენციის გავლენა ძილზე, განმეორებად ქცევებსა და კვებით
ჩვევებზე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში

სოფიო ჭუმბურიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

„ როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

სოფიო ჭუმბურიძე

20. 06. 2020

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის დარღვევა (ასდ) ნეიროგანვითარების დარღვევაა, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. გარდა სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებისა, სირთულეები ვლინდება ძილის, განმეორებადი ქცევებისა და კვების ჩვევების განზომილებაში. მსგავსი გამოწვევების დასაძალევად გამოიყენება ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპია, რომლის მიღებაც დისტანციურად მოხდა COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით ქართულ პოპულაციაში. წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს ტელეინტერვენციის გავლენა ძილის ხარისხზე, განმეორებადი ქცევებსა და კვების ჩვევებზე. ასევე, შეამოწმოს კავშირი კვებას, ძილის ხარისხსა და განმეორებად ქცევებს შორის.

ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-დან 11-წლამდე 60 ასდ-ს მქონე ბავშვმა. ისინი გადანაწილდნენ ექსპერიმენტულ (ტელეინტერვენციის მიმღებ) და საკონტროლო (რომლებიც არ იღებდნენ ინტერვენციას) ჯგუფებში.

ძილის ხარისხის გასაზომად, კვლევაში გამოყენებულია ბავშვის ძილის ჩვევების კითხვარი (CSHQ). კვებითი ჩვევები გაზომილია კვების შეფასების კითხვარით (წკრიალაშვილი, 2019), ხოლო განმეორებადი ქცევების შესახებ მონაცემები მოპოვებულია განმეორებადი ქცევების კითხვარით (RBQ).

მიღებული მონაცემების გაანალიზებით ირკვევა, რომ ტელეინტერვენცია გავლენას არ ახდენს განმეორებად ქცევებზე, კვების ჩვევებსა და ძილის ხარისხზე. კვლევამ აჩვენა დადებითი კორელაცია კვების ჩვევებსა და განმეორებად ქცევებს შორის. რაც შეეხება ძილის ხარისხსა და კვებას, მათ შორის სტატისტიკურად სანდო უარყოფით კორელაცია გამოვლინდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმის სპექტრის დარღვევა, ტელეინტერვენცია, ძილის ხარისხი, განმეორებადი ქცევები, კვების ჩვევები.

Abstract

Autism spectrum disorder (ASD) is a neurodevelopment disorder, which affects a child's daily life. Despite the diagnostic criteria, difficulties are revealed in sleep quality, repetitive behaviors and feeding habits. In order to solve these problems and respond those challenges, the therapy based on applied behavior analysis is used. Due to Covid-19, this service was offered online to the Georgian population. The aim of this research is to explore the effect of Tele-intervention on sleep quality, repetitive behaviors and feeding habits. As well as, to check the connections between feeding and sleep habits and repetitive behaviors.

With the help of convenience sampling, 60 children with autism spectrum disorder participated in this research from 4 to 11 ages. They were divided into two groups: 1. The experimental group (children were provided with Tele - intervention) and 2. The control group (children were not provided with Tele-intervention).

In order to measure sleep quality, Children's Sleep Habits questionnaire was used. Feeding habits were evaluated by Feed Assessment questionnaire. And the statistics about repetitive behaviors were collected by Repetitive Behavior Questionnaire.

Data analysis shows, Tele-intervention does not impact on repetitive behaviors, feeding habits and sleep quality. This research reveals positive correlation between feeding and repetitive behaviors. Also, there is statistically important negative correlation between sleep quality and feeding habits.

Keywords: Autism spectrum disorder, Tele-intervention, sleep quality, repetitive behaviors, feeding habits.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელს - თინათინ ჭინჭარაულს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კვლევის ყველა ეტაპზე. მისი დახმარებისა და რეკომენდაციების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნაშრომის ამ ფორმით წარდგენა.